საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF AGRICULTURAL SCIENCES

თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვებისათვის მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებები

(რეკომენდაციები)

თბილისი

2020

UDC (უაკ)

რეკომენდაციის ავტორი:

ელგუჯა შაფაქიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

რეცენზენტი:

ნარგიზ ბარამიძე – სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წამყვანი სპეციალისტი, სოფლის მეურნეობის დოქტორი.

რედაქტორი:

გიორგი ნიკოლეიშვილი – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

სსმმ აკადემიის გამომცემლობა “აგრო”

ISBN

მეაბრეშუმეობა შედგება ოთხი დამოუკიდებელი ქვედარგისაგან: საკვებწარმოება – მეთუთეობა, პარკის წარმოება – ნედლი აბრეშუმის პარკის მიღება, პარკის პირველადი დამუშავება და საგრენაჟო წარმოება. თუ ბოლო ორი ქვედარგის ტექნოლოგიური პროცესები ნაწილობრივ მექანიზებულია, ამას მოკლებულია საკვებწარმოება და განსაკუთრებით პარკის წარმოება.

აბრეშუმის პარკის წარმოება მეტად შრომატევადი პროცესია. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემებით 1 ც. აბრეშუმის პარკის მისაღებად საჭიროა 600-700 კაც სთ. ამ დანახარჯებიდან 15% მოდის საკვების დამზადებაზე, 15-20% – საკვების მომზადებაზე, 55% – თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვებაზე და 10% – პარკის ჩამოკრეფასა, დახარისხებასა და გაწმენდაზე.

როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, საკვების დამზადება-მომზადების და გამოკვების პროცესზე საკმარისად დიდია შრომითი დანახარჯები და ამიტომ ამ ტექნოლოგოიური პროცესების მექანიზაციის საკითხიც მეტად აქტუალურია.

თუთის ტოტებიდან ფოთოლგამცლელი მანქანა

მანქანის ტექნიკური დახასიათება

გაბარიტული ზომები, მმ.
სიგრძე – 485;
სიგანე – 375;
სიმაღლე – 1000;
მჭრელი ნაწილის დიამეტრი, მმ – 55;
ელძრავის სიმძლავრე, კვტ – 0,4 – 0,6;
ელძრავის ბრუნთა რიცხვი, ბრ/წთ –1400 – 1600;
დანის ბრუნთა რიცხვი, ბრ/წთ -700 – 800;
საანგარიშო მწარმოებლურობა, კგ/სთ – 85 – 95;
მომსახურე პერსონალის რაოდენობა – 1.

მანქანის მუშაობის ტექნოლოგიური სქემა



მუშაობის პროცესი

თუთის ფოთოლსაჭრელი მანქანა

მანქანის ტექნიკური დახასიათება

გაბარიტული ზომები, მმ.
სიგრძე – 760;
სიგანე – 800;
სიმაღლე – 570;
მანქანის მასა, კგ. – 76;
ელ. ძრავის სიმძლავრე, კვტ. – 0.4;
საანგარიშო მწარმოებლურობა, კგ./სთ. – 62;
მომსახურე პერსონალის რაოდენობა – 1.
ჭრის სიგანე, 3 – 30 მმ.

ფოთლის დაჭრის პროცესი

დაჭრილი ფოთოლი

თუთის აბრეშუმხვევიას გამოსაკვები მარტივი ტიპის სტაციონალური მოწყობილობა

გამოსაკვები მოწყობილობა ცალკეული სექციებისაგან – მოდულებისაგან იწყობა. ერთ მოდულში 10 თაროა, თითოეული 6,0 მ^2 გამოსაკვები ფართით. თარო წარმოადგენს ჩარჩოზე გადაჭიმულ ბადეს. აბრეშუმის ჭია განლაგებულია გამოსაკვებ ბადეზე. ბადის უჯრედების ზომები შეირჩევა ჭიის ასაკის მიხედვით იმ მოსაზრებით, რომ ჭია არ უნდა გაძვრეს ბადეში. თითოეული გამოსაკვები თაროს ქვეშ განლაგებულია ნაძირის შემგროვებელი დახრილი ზედაპირი.

გამოსაკვები ზედაპირიდან ნაძირის გამოყოფის პროცესი უწყვეტად მიმდინარეობს და ნაძირის შემგროვებელი ზედაპირებით იყრება სპეციალურ ყუთში ან ნაძირის გამტან ტრანსპორტიორზე.

მოწყობილობის დადებითი მხარეები:

- საჭიის მოცულობის რაციონალური გამოყენება;
- კონსტრუქციის სიმარტივე;
- ჭიის აერაციის გაუმჯობესება;
- თუთის აბრეშუმხვევიას დაავადების თავიდან აცილება.